



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N 1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ელბაქიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:

ტარიელ გველესიანი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნინო ბერიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ბესიკი ბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

თინათინ ბეგიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნინო ზირაქაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

თინათინ ლაზარაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

მარიამი ღუბელაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ჯულიეტა ტაბუაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N 1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	238762790

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სამტრედია, სოფელი ოფეთი
ფაქტობრივი მისამართი	სამტრედია, სოფელი ოფეთი
საფოსტო ინდექსი	3900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1018?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	opeti1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577023330

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 2 24 0000607107	31/05/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	27-28 ივნისი. 2024წ.	

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	სამტრედია, სოფელი ოფეთი 1 შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	სამტრედია, სოფელი ოფეთი 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ჯგუფის თავჯდომარემ teams-ში და სოციალურ ქსელში შექმნა ჯგუფები. იგი კოორდინაციას უწევდა ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაციას, თავიდანვე გადანაწილდა ფუნქციები, გაიწერა სკოლაში ვიზიტის დღის წესრიგი. თავმჯდომარე პერიოდულად აწყობდა როგორც სავალდებულო, ისე - საჭიროებიდან გამომდინარე რიგგარეშე ონლაინ შეხვედრებს teams-ში. პირველივე შეხვედრის შემდეგ ექსპერტებმა წარმოადგინეს ის დამატებითი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რისი გაცნობაც ვიზიტამდე საჭიროდ მიიჩნიეს. სკოლამ მითითებულ ვადაში უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ცენტრის საშუალებით ჯგუფისთვის მიწოდება. პირველადი დოკუმენტაცია იყო მოცულობითი, რამაც ექსპერტებს საშუალება მისცა სტანდარტის ოთხივე მიმართულებით სკოლის მუშაობის პირველადი შეფასება გაეკეთებინა. დოკუმენტაცია სტანდარტების მიხედვით იყო დახარისხებული, რაც აადვილებდა მრავალრიცხოვან დოკუმენტაციაში შესაბამისი მასალის მიგნებას.

ვიზიტამდე ჯგუფის თითოეულმა წევრმა თავმჯდომარეს წარუდგინა ვიზიტის პერიოდში განსახილველი საკითხები. დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა ავტორიზაციის გუნდთან ერთად განიხილა და შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მოითხოვა საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია. ითანამშრომლა საგნობრივ, კერძოდ, სახელმწიფო ენის, საბუნებისმეტყველო მეცნიერების, მათემატიკის და საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებთან. ესწრებოდა და ერთვებოდა სკოლასთან ოთხივე საგნობრივი ჯგუფის ინტერვიუს სათანადო დროს, საჭირო დეტალების დასაზუსტებლად. გააკეთა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის რევიზია. ყურადღებით გაეცნო ვიზიტის შემდეგ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ისეთი დოკუმენტებიც, რაც ვიზიტამდე არ ჰქონდა წარმოდგენილი.

სკოლის კათედრების წევრებთან საგნობრივი ექსპერტების მიერ წარმართული გასაუბრების პროცესი გეგმის შესაბამისად წარიმართა. ვიზიტის დროს საგნობრივი ექსპერტების მიერ კურიკულუმის ჩარჩოსთან დაკავშირებით გაცემული რჩევები იქნა გათვალისწინებული.

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების, სასკოლო დოკუმენტაციისა და გარემოს შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოთქვამს მზაობას ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამის დონეზე დასაკმაყოფილებლად. სკოლაში არის პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, რაც დადებითად ისახება სასკოლო ცხოვრებაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

1. სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N 1 საჯარო სკოლაში არის გამართული ინფრასტრუქტურა და მოსწავლეს სკოლაში ხვდება კეთილგანწყობილი, მოტივირებული სასკოლო საზოგადოება;



2. ტარდება სხვადასხვა პროექტი თუ შემოქმედებითი ღონისძიება, რაშიც სასკოლო საზოგადოებასთან ერთად თემიც აქტიურადაა ჩართული;
3. სკოლაში მოსწავლეთა მოზიდვის მიზნით სკოლა ზრუნავს ახალგაზრდა ოჯახების სოფელში ჩასახლებაზე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (2024 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 სექტემბრამდე) მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსიებზე კვალიფიციური კადრის ასაყვანად გამოაცხადოს კონკურსი.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
--------------	------------------------------------	--

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში (2025 წლის 19 აპრილამდე) უზრუნველყოს დასავლური სტანდარტების შესაბამისად საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამართვა, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის განათლებას.
ინდიკატორი N 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (2024 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 სექტემბრამდე) მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსიებზე კვალიფიციური კადრის ასაყვანად გამოაცხადოს კონკურსი.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.2.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;	სკოლას ვურჩევთ, დოკუმენტალურად გაწეროს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი, ან მუხლობრივად ჩაამატოს მოსწავლეთა ადაპტაციის წესში ან ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში
ინდიკატორი N3.4.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სკოლას ვურჩევთ, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დაწესებულებასა და მართვას, დაასაქმოს სკოლაში.
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლას ვურჩევთ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი დაასაქმოს სკოლაში.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა	სასურველია დაწყებითი კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მეტად დაკონკრეტდეს ძირითადი საკითხი/საკითხები. პირველი კლასის სახვითი და გამოყენებითი კურიკულუმის მე-6 თემის თემატური ბლოკის სახელწოდება გადავიდეს თემის სახელწოდებად. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში დავალების იდეა უმჯობესია ნათლად და მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული. სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოებში, სასურველია საკითხთა სვეტში აღნიშნული ტექსტები გადაიტანოთ ძირითადი რესურსის/კონტექსტმაგალითების სვეტში.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ბუნებისმეტყველებაში სასურველია, სასწავლო პროცესის შეფასებისას, წარამოდგენილ რუბრიკებთან (შუალედურ მიზანს აფასებს) ერთად, გამოყენებული იქნეს მოსწავლეთა თვითშეფასების, ურთიერთშეფასების, კვლევითი დავალების და სხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა	სასურველია, ბიოლოგიის VIII კლასის კურიკულუმში თემა: „ჯანმრთელობა და მავნე ჩვევები“ დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება ფიზიკის მერვე კლასის კურიკულუმში თემა: „სითბურ მოვლენებში“ წარიმართოს ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობა. სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოებში, სასურველია საკითხთა სვეტში აღნიშნული ტექსტები გადაიტანოთ ძირითადი რესურსის/კონტექსტმაგალითების სვეტში.



ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნებში სასწავლო პროცესის შეფასებისას, წარმოდგენილ რუბრიკებთან (შუალედურ მიზანს აფასებს) ერთად, გამოყენებული იქნეს მოსწავლეთა თვითშეფასების, ურთიერთშეფასების, კვლევითი დავალების და სხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო საგნებში კონკრეტული თემისთვის შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში გაწერილი მოლოდინები სასურველია, ამ კონკრეტულ თემას ეხებოდეს საბუნებისმეტყველო საგნებში შემაჯამებელი დავალების რუბრიკა სასურველია, იძლეოდეს მოცემული დავალებების შეფასების საშუალებას. სასურველია, მოსწავლის შეფასება მოხდეს გაწერილი რუბრიკის შესაბამისად.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების

სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნა, რომ გაეცნო დასკვნის პროექტს და ეთანხმება დასკვნის პროექტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს, და წარმოადგინა კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ხარვეზების აღმოფხვრის მტკიცებულები. ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები გაზიარებულია სკოლის მიერ და სრულდება ეტაპობრივად. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს წინამდებარე დასკვნაში ასახულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები. ხედვის მიხედვით 2030 წლისთვის სკოლა იმერეთის რეგიონში იქნება გამორჩეული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი, თავისუფალი და ტოლერანტი ადამიანის ჩამოყალიბებას. სკოლის მისიას გარე და შიდა ფაქტორების სისტემატიური ანალიზით, მოსწავლეთა საჭიროებაზე და შესაძლებლობაზე მორგებული საათობრივი ბადითა და უნიკალური შეფასების სისტემით სკოლამ ხელი შეუწყო მოსწავლეებში ისეთი უნარების გამომუშავებას, რომლებიც მას დაეხმარება აქტუალური შესაძლებლობების მიღმა არსებული ამოცანების გადაჭრაში; სკოლა ხელს უწყობს ზრუნვის, სწავლისა და კვლევის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მიღებული ცოდნა და ღირებულებები ეპოქის/დროის შესატყვისია. სკოლის ღირებულებებია: სამართლიანობა, გუნდურობა, ზრუნვა, გამჭვირვალობა, სკოლისადმი ერთგულება, გამოცდილების გათვალისწინება და სიახლეების მიმართ ღიაობა. სკოლის ზემოთქმულიდან გამომდინარე, მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოსწავლეებისთვის აწარმოებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ. სკოლაში თავისთავადაა დანერგილი დიფერენცირებული მიდგომები და გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის განვითარების დონე და საჭიროებები, რადგან კლასში თითო მოსწავლეა, მხოლოდ პირველ კლასში იქნება 2 მოსწავლე (ზოგიერთ კლასში არცერთი მოსწავლე არაა). სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპით შექმნა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალურად უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცე, სადაც, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები, ხდება მათი წარმატების გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლაში განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტები, სადამრიგებლო პროგრამები, საკლუბო

და სპორტული აქტივობები ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას. დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას. მიმდინარე პროექტების მონიტორინგისა და შედეგების ანალიზი გამოიყენება შემდეგ სასწავლო წელს განსახორციელებელი პროექტის დაგეგმვის პროცესში. სკოლას ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული „მაკდონალდსთან.“ წლების განმავლობაში დანერგილი პრაქტიკაა და მუდმივად ხორციელდება საკლასო, სოციალური, თემის საჭიროებებზე დაფუძნებული პროექტები, რაც ხელს უწყობს დემოკრატიული კომპეტენციებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, ქმნის ჯანსაღ, თანამშრომლობით გარემოს და უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნული თუ მოქალაქეობრივ განვითარებას. სკოლაში განხორციელებული ვიზიტისა და ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასკოლო პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტებისა და პროგრამების სახით. სასკოლო გარემო ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობას. თვალსაჩინოა, რომ ყველა სტრუქტურული ერთეული მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ინიციატივები. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მასწავლებლები მორიგეობას განრიგის მიხედვით ასრულებენ. სკოლას აქვს ერთსართულიანი შენობა. სკოლის შენობა სრულად რეაბილიტირებულია. ეზო შემოღობილია. სკოლის გარე პერიმეტრზე 3 სათვალთვალო კამერაა დამონტაჟებული. გამოკრულია სავაკუაციო გეგმა. სკოლა აღჭურვილია სახანძრო ბალონებით. სკოლას იცავენ დარაჯები. არსებობს სრულად განახლებული და ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო ოთახი. სსსმ მოსწავლეებისთვის გამოყოფილია რესურს ოთახი. მათთვის მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლას აქვს პანდუსები. ამჟამად, სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა მზადაა ასეთი მოსწავლეების მისაღებად. პედაგოგები ქმნიან ინკლუზიურ გარემოს, რომელიც მორგებულია ნებისმიერი მოსწავლის საჭიროებებს. სასწავლო პროცესის მსვლელობის დროს სკოლაში მომსვლელთა ვიზიტები ვიზიტორთა ჟურნალში ტარდება. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს ცნობილი გახდა, რომ პანდემიის პერიოდში მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით კიდევ უფრო შეზღუდული იყო გარეშე პირთა ვიზიტები. არსებობდა საიზოლაციო ოთახი. სკოლას აქვს სრულად აღჭურვილი ექიმის კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექთანი. აქტიურად იმართება სასკოლო თუ სათემო ღონისძიებები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. სკოლაში მიმდინარე პროცესები ეყრდნობა ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა ხდება სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. უსაფრთხოებისა და კანონის უზენაესობის განცდის მისაღწევად სკოლაში სხვადასხვა ნორმატიული აქტის საფუძველზე იდენტიფიცირებულია ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. სკოლის მთავარი ფასეულობა მოსწავლე და მისი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოლენაა. სკოლა მოსწავლეებს ანიჭებს მაქსიმალურ აკადემიურ თავისუფლებას. მოსწავლეებს შეუძლიათ გამოთქვან საკუთარი აზრი, იდეა, ინიციატივა, რომელიც წახალისებულია სკოლის მიერ. სკოლა ხელს უწყობს მშობელთა ჩართულობას და განუწყვეტლივ სთავაზობს მათ სასკოლო ინიციატივებს. სკოლას თემსა და საზოგადოებაში აქვს თავისი ნიშა. სკოლა მცირეკონტიგენტისაა, რაც გამოწვეულია მოსახლეობის მიგრაციით, სოფლის თემის ძირითად ნაწილს შეადგენს მოხუცები და შუახნის ასაკს მიღწეული პირები, ახალგაზრდები და ბავშვები კი მცირე რაოდენობითაა. სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს ადგილობრივი

მოსახლეობა, რომელიც ზრუნავს მოსწავლეების მშობლებთან და სოფელში მცხოვრებ სხვა ადამიანებთან ერთად სოფლის მოსახლეობის შენარჩუნებასა და გაზრდაზე. მაგალითად: სკოლას აქვს შემდეგი პრაქტიკა - სოციალურ გვერდზე ნანახი იქნა ახალგაზრდა ოჯახის განცხადება, რომელიც ეძებდა სოფელში საცხოვრებელ სახლს, სადაც იცხოვრებდნენ ქირის გადახდის გარეშე, სკოლამ მშობლების და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით მოიძია ინფორმაცია ერთ-ერთ დაკეტილ სახლზე, დაუკავშირდა მის მეპატრონეს, გააცნო პირობები და მიიღო თანხმობა საცხოვრებელი სახლის განათხოვრების შესახებ. სკოლის მასწავლებლებმა უზრუნველყვეს ამ ოჯახის სოფელში მოყვანა და საცხოვრებელი ადგილის დათვალიერება და 2024 წლის დასაწყისში ეს ოჯახი გადმოვიდა სოფელში საცხოვრებლად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ოჯახს ჰყავს 3 მცირეწლოვანი ბავშვი, რომლებიც მომავალში იქნებიან სკოლის მოსწავლეები. სკოლა მომავალშიც დიდი იმედით და მონდომებით აგრძელებს იგივე საქმიანობას. სკოლა ნამდვილად არის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებიც. სკოლის მოსწავლეთა, მშობელთა, თანამშრომელთა და ადგილობრივი თემის წარმომადგენელთა ჩართულობით იქნა შემუშავებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბების მიზნით ჩატარდა გამოკითხვები სკოლის თანამშრომლებში, მოსწავლეებსა და მშობლებში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში, მაღალი ჩართულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სტრატეგიული გეგმის პროექტი დაეგზავნა სკოლის საზოგადოებას და მიეცათ წინადადება, საკუთარი მოსაზრებები წარმოედგინათ სამუშაო ჯგუფში. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე მუშაობდა პასუხისმგებელი ჯგუფი და ამ პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, ამით უკვე შექმნილია თანამშრომლობითობის განცდა. ჯგუფმა ინტერვიუს მიმდინარეობისას აღინიშნა, რომ კლასის ხეილმძღვანელებმა მშობელთა კრებებზე პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს და გააზიარეს განახლებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, მთავარ მტკიცებულებასაც წარმოადგენს 2024 წლის 22 მარტის მშობელთა კრების N 3 ოქმი. ოქმში N 1 საკითხი არის: სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) გაცნობა და მასში ცვლილებების სეტანა უკუკავშირის საფუძველზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, სადაც ასახულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა საჯაროდაა ხელმისაწვდომი. გამოკრულია როგორც სკოლის შენობაში, საინფორმაციო დაფაზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას, ასევე სკოლის ვებ-გვერდზეა ატვირთული და გასაჯაროებული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ სახელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრავს სკოლის ტიპს და სახელს: სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N 1 საჯარო სკოლა. სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, (საკადასტრო კოდია: 34.15.41.016). აღნიშნული ამონაწერის მიხედვითაც სკოლის სახელწოდებაა ტიპს და სახელს: სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N 1 საჯარო სკოლა.
შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

3. მშობელთა კრების ოქმი N 3 (22/03/2024)

4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

5. სკოლის შინაგანაწესი

6. ექიმის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N 1

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა



1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა დაპირველად სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N2-04 აქტით იყო დამტკიცებული 2024 წლის 4 მარტს. არადა, მეთოდოლოგიის მე-13 მუხლში იკითხებოდა: „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო.“ სკოლას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი სამეურვეო საბჭოს მიერ არ ჰქონდა დამტკიცებული, თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 17 ივლისის სამეურვეო საბჭოს ოქმი N 9, სადაც ჩანს, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული სკოლის სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგია და თავად მეთოდოლოგიაც დანართი N 1-ის სახითაა აქვთ წარმოდგენილი. წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის თავისებურებები. მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები და ეტაპები. სკოლა ამ დოკუმენტით აღიარებს, რომ სტრატეგიული გეგმა, მიზნები და ამოცანები იქმნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ძირითადი მიდგომებია თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება. განსაზღვრულია გაზიარებისა და შემუშავების პროცედურები, სამუშაო ჯგუფის ფორმირება, კვლევის შედეგების გათვალისწინება, კერძოდ - SWOT ანალიზი. წინა გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. მექანიზმად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირების მიერ ანგარიშების წარმოდგენა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა აქვს წარმოდგენილი, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2024 წლის 12 მარტს სკოლის სამეურვეო საბჭოს N 5 ოქმით. სკოლას შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან ერთად გასაჯაროებული აქვს სკოლის შესასვლელში, საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზე. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სულ 4 მიზანია: სტრატეგიული მიზანი N1. სკოლის ინსტიტუციური მდგრადობა და მუშაობის ეფექტურობა

უზრუნველყოფილია არსებული რესურსებით, ორგანიზაციული მოწყობითა და მიმდინარე პროცესებით; *სტრატეგიული მიზანი № 2.* სკოლა აქტიურად იყენებს საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას; *სტრატეგიული მიზანი №.* სკოლის მიერ გაწეული სერვისები განვითარებული, მოქნილი, ადვილად ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე ორიენტირებულია; *სტრატეგიული მიზანი № 4.* დანერგილია ზოგადი განათლების სპეციფიკაზე მორგებული ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს საუკეთესო უცხოურ პრაქტიკას და საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობის თანამედროვე გამოწვევებს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მოთხოვნებისა და სკოლის მიერ გაკეთებული დიაგნოსტიკური თვითშეფასების საფუძველზე და რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2024 წლის 12 მარტს სკოლის სამეურვეო საბჭოს N 5 ოქმით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს: აქტივობებს, ამოცანების განსახორციელებლად გადადგმულ ნაბიჯებს; ვადას, რომლის პერიოდშიც უნდა განხორციელდეს კონკრეტული აქტივობა; პასუხისმგებელ პირებს, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობაზე, *გამოყოფილია ინდიკატორები, რომლითაც იზომება თითოეული აქტივობა და ასევე, გამოყოფილია რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.* **შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

3. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

4. სამეურვეო საბჭოს სხდომის N 5 ოქმი (12/03/2024)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები და ეტაპები. ერთ-ერთი ეტაპი მოიცავს სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგს, ანგარიშების წარდგენასა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ცვლილებების მომზადებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ცნობილი, გაზიარებული და გასაჯაროებულია დაინტერესებულ მხარეთათვის. ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების პროცესში ჩართულობითა და უკუკავშირის მიღებით. სამოქმედო გეგმა საჯაროდ საინფორმაციო დაფაზეა გამოკრული. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ანგარიში შეეხება, როგორც ფინანსურ, ასევე - სასწავლო მხარესაც. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. პასუხისმგებელ ჯგუფთან ინტერვიუებისას დგინდება, რომ მასწავლებლებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ანგარიშებს/რეფლექსიას სკოლა იყენებს მომავალი ქმედებების დასაგეგმად. შესაბამისად, დირექტორის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიც, სადაც ხდება გამოწვევების გამოკვეთა, არის საშუალება მომავალ სამოქმედო გეგმაში აქტივობების დასაგეგმად. ასევე, სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის 2024 წლის 13 მარტის N 4 ოქმი, სადაც, სტრატეგიული გეგმის მოდიფიცირება მოხდა და ასევე, ერთ-ერთ საკითხი სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტიანობის შეფასება და შემდგომი გაუმჯობესების გზების დასახვა იყო, საიდანაც კარგად ჩანს, რომ სკოლა მიღებულ შედეგებს იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

3. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

4. პედაგოგიური საბჭოს ოქმი N 4 (13/03/2024)

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შესაბამეა

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N2-04 აქტითაა დამტკიცებული 2024 წლის 4 მარტს. დოკუმენტში სქემის სახით წარმოდგენილია სკოლის სტრუქტურა. მკაფიოდაა განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების მოქმედების არეალი და ანგარიშვალდებულება. სკოლის სტრუქტურის დოკუმენტში გაწერილია სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები (სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დირექციის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, კათედრის, დისციპლინური კომიტეტის), სკოლის სტრუქტურის დოკუმენტში ასევე გაწერილია სტრუქტურული პირების: დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის, ექიმი/ექთნის, მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლის, ბიბლიოთეკარის, დარაჯის, დამლაგებლის, ცეცხლფარეშის, მუშის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, საინფორმაციო მენეჯერის ფუნქციებიც. ეს დოკუმენტი სკოლის ვებ გვერდზეც არის გასაჯაროებული. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს, დირექტორის უფლება-მოვალეობები დირექტორის ეთიკის კოდექსის შესაბამისად, ხოლო - მასწავლებლის უფლება-მოვალეობები მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად არის განსაზღვრული. სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებულია

ფუნქციები, რომელიც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები
- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის სტრუქტურა
- სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი - ბრძანება N2-04 (4/03/2024)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის დებულება - ბრძანება N 1/კ-29 (13.10.2023)

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თანამშრომელთა ხელშეკრულებები ეხმარება სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვაში. თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მასთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოაა გაწერილი მისი უფლება-მოვალეობები, თანამშრომლები ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, რაც შინაგანაწესზე მათი ხელმოწერებით დასტურდება. ახალი



კადრის აყვანა სკოლაში ხდება საჭიროებიდან გამომდინარე კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისია მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2024 წლის 26 ივნისის N 2-17 აქტითა დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. საჭიროებიდან გამომდინარე ხდება ინტერვენციის განხორციელება. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება მათი შესაძლებლობების და საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ხდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მაგალითად, კლასის ხელმძღვანელის ფუნქციის დაკისრება, საგანგებო სიტუაციებში სკოლის მართვის გეგმის მიხედვით ფუნქციათა გადანაწილება და სხვ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი და იქმნება საკონკურსო კომისია. კომისია შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს და საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www.pedagogi.ge / teachersjobs.ge. საჯარო სივრცეში კონკურსის გამოცხადებისთანავე იქვე მითითებულია ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი. პერსონალის შერჩევის წესი გამჭვირვალეა, დაცულია ობიექტურობა. აპლიკანტს ეცნობება შედეგები და ეძლევა დრო გასაჩივრებისთვის. სკოლა მოტივირებულია პროფესიონალი კადრის შერჩევისთვის. კონკურსი ძირითადად მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა, რაც გამორიცხავს არაკვალიფიციური კადრის მოხვედრას თანამდებობაზე და მეორე ეტაპზე გასაუბრების გზით. ხდება აპლიკანტის პიროვნული და პროფესიული უნარების გამოკვლევა. კომისიის წევრებს შემუშავებული აქვთ აპლიკანტის შეფასების სქემა, აფასებენ ინდივიდუალურად და შედეგების მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებას. პოზიციაზე შეირჩევა ქულათა ჯამით საუკეთესო შედეგის მქონე აპლიკანტი. კანდიდატების შეფასების შემდეგ, კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას. სკოლას კონკურსის წესით მიღებული ჰყავს ექთანი და სპორტის მასწავლებელი, რაც დასტურდება ინტერვიუებით, საკონკურსო კომისიის ოქმებით, ხელშეკრულებებითა და პირადი საქმეებით. დასაქმებული პერსონალის პირად საქმეებში ინახება ცნობები ნასამართლეობის შესახებ. 2020 წლის 23 ივლისის შემდეგ სკოლაში მიღებულია 2 პერსონალი: ექთანი და სპორტის მასწავლებელი. მათ აქვთ ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის და ცნობა „უფლების ჩამორთმევის



შესახებ. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის, საზოგადოებრივ სამუსაოებზე ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში სკოლას დასაქმებული ჰყავს 1 დამლაგებელი, 1 ბიბლიოთეკარი და 1 მეუზოვე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2024 წლი 4 მარტის N 2-04 აქტითა აქვს სკოლას დამტკიცებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამსახველი დოკუმენტი, სადაც გაწერილია დირექტორის, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის, ექიმი/ექთნის, დამლაგებლის, დარაჯის, მუშის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, ბიბლიოთეკარის, მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლაში ახალი კადრის შერჩევის გადაწყვეტილებას იღებს გუნდი (საკონკურსო კომისია), მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საკითხს განიხილავს გუნდი (დისციპლინური კომისია) და ა. შ. სკოლის ორგანიზაციული კულტურა გუნდურობის პრინციპს ეფუძნება, გუნდში ფუნქციები გადანაწილებულია შესაძლებლობების, ინტერესების და კვალიფიკაციის მიხედვით. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. სკოლაში შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები, მათ ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, გადაწყვეტილებების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. თვალსაჩინოა, რომ სკოლა მუშაობს გუნდური პრინციპით, რა დროსაც თანამშრომლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება და წარმატებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
6. წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ერთ-ერთ მექანიზმია პედაგოგებს შორის პედაგოგიური პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების, ტრენინგზე თუ კონფერენციაზე მიღებული სიახლეების, მიდგომების, მეთოდების გაზიარება, ახალი იდეების მხარდაჭერა. წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ძირითადად ხდება კათედრებზე და პედაგოგიურ საბჭოზე. იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტები. რაც შეეხება აღიარებას, სკოლა სხვადასხვა აქტივობაში აქტიურად ჩართულ მასწავლებლებსა თუ პერსონალს დიპლომებითა და სიგელებით აჯილდოებს, სოციალურ ქსელში, სკოლის გვერდზე მიღწეული წარმატების თუ განხორციელებული პროექტის გამოქვეყნება ხდება. სკოლას *მემორანდუმი აქვს დადებული სსიპ-სამტრედიის მუნიციპალიტეტის N 2 საჯარო სკოლასთან, რომლის ფარგლებშიც ხდება STEM კლუბების შესახებ გამოცდილებების გაზიარება.* **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. თანამშრომელთა ხელშეკრულებები
3. უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულებები
4. სპორტის მასწავლებლის შერჩევის საკონკურსო კომისიის ოქმი N 2 (08/09/2023)
5. სპორტის მასწავლებლის საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება N 1/კ-18 (02.09.2023)
6. ექიმის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N 1
7. პერსონალის პირადი საქმეები
8. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2024 წლი 4 მარტის N 2-04 აქტი
9. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2024 წლის 26 ივნისის N 2-17 აქტი
10. სკოლის დირექტორის მიერ გაცემული მადლობის სიგელი
11. მემორანდუმი სსიპ-სამტრედიის მუნიციპალიტეტის N 2 საჯარო სკოლასთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

5. წახალისებული პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მექანიზმად სკოლა იყენებს მასწავლებელთა რეფლექსიებსა და თვითშეფასებებს. სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2024 წლის 26 ივნისის N 2-17 აქტითაა დამტკიცებული და რომლის მე-6 და მე-7 მუხლებში იკითხება, თუ როგორ ხდება სკოლაში ადამიანური რესურსის შეფასება და გაუმჯობესება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის შეფასება ხორციელდება მათ მიერ შესრულებული დავალებების ხარისხის შემოწმებით. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებელთა თვითშეფასების, უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება და ა. შ. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლაში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები ჩართულნი არიან როგორც სავალდებულო ტრენინგებში, ასევე - სხვადასხვა პროექტის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებსა და სემინარებში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას, პედაგოგები ურთიერთგამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით ივითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. სქემით გათვალისწინებული სავალდებულო აქტივობების ფარგლებში მასწავლებლები გადიან ყოველწლიურად ტრენინგს და არჩევანის გაკეთების დროს ითვალისწინებენ ჯგუფის რეკომენდაციას. სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლაში ყველა უფროსი მასწავლებელია. სკოლაში მუშაობს USAID საბაზისო განათლების პროექტის ლიდერ მასწავლებლები. სკოლა მათ საშუალებას აძლევს და ახალისებს ჩაატარონ სამუშაო შეხვედრები, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. სკოლას ჰყავს წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლებიც ამაყოფენ თავიანთი სკოლით და მასწავლებლებით. ერთ - ერთი ამის ნათელი მაგალითია სკოლის წარმატებული კურსდამთავრებული, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო გერმანიაში, ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს თავისი პროფესიით. ყოფილი კურსდამთავრებულისგან სკოლამ მიიღო უკუკავშირი - ვიდეო რგოლი, სადაც ყოფილი კურსდამთავრებული აღწერს თავის წარმატებულ ცხოვრებას და სკოლის მოსწავლეებს აძლევს რჩევებს, თუ როგორ უნდა მიაღწიონ წარმატებას ერთი პატარა სოფლის სკოლიდან. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. ახალი თანამშრომელს დირექცია აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სკოლის ფილოსოფიას (მისიას, ხედვას, ღირებულებებს). პირველივე დღესვე დირექცია ახალ თანამშრომელს ათვალისწინებს სკოლის ინფრასტრუქტურას და უზრუნველყოფს სკოლის თანამშრომლებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრას, რაც სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს გაირკვა. ექსპერტები ადგილზე ვიზიტის დროს თავადაც დავრწმუნდით, რომ ახალი პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სპორტული მოედანი, ექიმის კაბინეტი. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო

შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სკოლაში შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით, თუმცა ცალკე დოკუმენტი ახალი თანამშრომლის ადაპტაციასთან დაკავშირებით არ არსებობს. სკოლას **ვურჩევთ**, დოკუმენტალურად გაწეროს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი, ან მუხლობრივად ჩაამატოს მოსწავლეთა ადაპტაციის წესში ან ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის მიერ. ინიციატივებს ძირითადად ზეპირსიტყვიერად აფიქსირებენ თანამშრომლები. სკოლაში წახალისებულია წარმატებული მასწავლებელი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მოსწავლეთა აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის. ასეთ მასწავლებლებს სკოლა აჯილდოებს სიგელებით. სკოლა ახალისებს მასწავლებელთა ინიციატივებს, პროექტებში მათ მონაწილეობას. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის ბრძანება N 2-17 (26/06/2024)
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
3. ტრენინგების შემდეგ გაცემული ცნობები და სერთიფიკატები
4. მასწავლებლების პირადი საქმეები
5. სკოლის დირექტორის მიერ გაცემული მადლობის სიგელი
6. მასწავლებლის სამუშაო შეხვედრის რეგლექსია
7. სოციალური ქსელის ბმულები
8. ვიდეო - წარმატებული კურსდამთავრებული

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მისიას, მიზნებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას და ა.შ., რაც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის 2-17 (06/06/2024) დოკუმენტი, რომელიც დირექტორის N 2-17 (06/06/2024) ბრძანებითაა დამტკიცებული. აღნიშნული, ასევე, დასტურდება მასწავლებელთა რეფლექსიებითა და კათედრების პორტფოლიოებით, 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა პროცესებს მართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და სკოლის შიდა დოკუმენტებით, რომელშიც შედის სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრუქტურული ერთეულების დებულებები - მათ შორის: სამეურვეოს და პედაგოგიური საბჭოების დებულებები, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვ. სკოლამ ვიზიტის პროცესში წარმოადგინა „საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების აღწერილი დოკუმენტი,“ რომელიც სკოლის დირექტორის N2-17. (26.06.2024) ბრძანებით იქნა დამტკიცებული და სკოლის ვებ-გვერდზეცაა გასაჯაროებული. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექტორის და დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილება განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით. ცალკეული პროცედურული საკითხები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით. თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევისთვის, ასევე,

საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის სკოლაში მუშაობს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. კონკურსების შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. დანერგილია სემესტრული ნიშნის გასაჩივრების მექანიზმი და პროცედურა. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სკოლაში „გასაჩივრების დეტალური პროცედურების“ ამსახველი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის N2-17 (26.06.2024) ბრძანებით და რაც გასაჯაროებულია სკოლის ვებ-გვერდზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის შინაგანაწესის განსაზღვრულია სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლაში არის პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელიც უპირველესად ხორციელდება შინაგანაწესზე დაყრდნობითა და კოლეგიალურ ორგანოებში წარმომადგენელთა ყოლითა და მათი ინტერესების დაცვით. სკოლაში ყველა მოქმედ კლასში არჩეულია მშობელთა კომიტეტის წევრები. სკოლის პერსონალი და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტებში. უფლებები უფრო დაზუსტებულია ხელშეკრულებით, რომელიც ფორმდება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის, სკოლასა და პერსონალს შორის. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში გასაჩივრების ფაქტი არ დაფიქსირებულა. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის 4 მარტის N 2-04 ბრძანებით. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი N 2-17 (06/06/2024) ბრძანება

2.საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი

3.„გასაჩივრების დეტალური პროცედურების“ დოკუმენტი. N2-17 (26.06.2024) ბრძანება

4.„მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი.“ N 2-04 (04/03/2024) ბრძანება

5. სკოლის შინაგანაწესი

6.ვიდეოსათვალთვალო კამერების ფოტოები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები, როგორიცაა: საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი-სკოლის ფეისბუქგვერდი, დახურული ჯგუფები, სკოლის ელექტრონული ფოსტა, eflow, Teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლა ამ მიმართულებით კარგად იყენებს მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო პროექტებს. ყველა კლასში ჩამოყალიბებულია მშობელთა კომიტეტები. სხვადასხვა გზით ხდება უკუკავშირის მიღება მშობლებისგან, რაზეც ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. მშობელთა კრებებზე ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის გაცნობა, რაც ასახულია მშობელთა კრების ოქმებშიც. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებულია ხელშეკრულება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვის პროცესში სკოლის საზოგადოების ჩართულობა გამოიხატება სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში. ეს ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოებას აქვს პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები. სკოლის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში, სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების ორივე საფეხური. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება
2. მშობელთა კრების ოქმი N 1 (15/09/2023)

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დამრიგებელი გაცდენის მიზეზის დასადგენად მობილურით ან მესენჯერით უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. სკოლაში სამეურვეო საბჭოს N 5 (13.03.2024) ოქმით დამტკიცებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც გაწერილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები დამატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი. ცალკე თავადაა გამოყოფილი სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის მიღება და მასში ცვლილების შეტანა. სკოლის გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო 3 კამერით. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო. სკოლაში განთავსებულია

ცეცხლმაქრები და საევაკუაციო გეგმები. ფუნქციონირებს საევაკუაციო გასასვლელი. უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მანდატურის სამსახურის მიერაა გადამზადებული, სკოლის დირექტორის N 2-03 (04/03/2024) ბრძანებითაა დამტკიცებული. სკოლას აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლამ 2024 წლის 15 მარტს N MES 24 000312475 წერილით მიმართა შსს სსდ სიტუაციების მართვის სამსახურს სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასადგენად, რის საფუძველზეც სკოლამ წარმოადგინა სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა. თავდაპირველად სკოლას შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის დოკუმენტი არ ჰქონდა წარმოდგენილი. სკოლას შესაბამისობის გეგმაში ჰქონდა გაწერილი, რომ 2025 წლის 19 აპრილამდე წარმოადგენდა შესაბამის დოკუმენტს, თუმცა, როგორც დირექტორთან ინტერვიუებისას გაირკვა, უფრო ადრეც ჰქონოდა სკოლას ეს დოკუმენტი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან წერილი ფქონდა მიწერილი და ელოდება თანხის ჩარიცხვას, რომ სამხარაულის საექსპერტიზო ბიუროდან გამზადებული დოკუმენტი ჩაებარებინა. *სკოლას მიცემული ჰქონდა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში აღნიშნულ ვადებში სკოლის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის დოკუმენტი მოეპოვებინა. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა გადმოაგზავნა, სადაც იკითხება: „სკოლის შენობა-ნაგებობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და მისი ექსპლუატაცია უსაფრთხოა.“ შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.*

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი მოწყობილია ბრძანების შესაბამისად: აღჭურვილია ავეჯით, სამედიცინო ინვენტარით, ტექნიკით, მედიკამენტებითა და სახარჯი მასალით. სკოლას ემსახურება ექთანი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლაში 3 სათვალთვალო ვიდეოკამერაა, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, უზრუნველყოფენ სკოლის გარე პერიმეტრის კონტროლს. სასკოლო საზოგადოებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა ხდება მასწავლებელთა მორიგეობით. სკოლაში შემომსვლელი ყველა უცხო პირი ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, როგორც გაკვეთილების მიმდინარეობისას, ასევე შენობაში შესვლისა და გასვლის დროს. სკოლაში მასწავლებლები მორიგეობენ

გაკვეთილების მიმდინარეობისას, ასევე სკოლის ვიზიტორებს აღრიცხავენ სპეციალურ ჟურნალში. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე მოსწავლის უკონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახდენს მოსწავლის უკონტაქტო დათვალიერებას. ღონისძიებების ეს ერთობლიობა მინიმუმამდე ამცირებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს. *სკოლას ვურჩევთ, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი აიყვანოს, რომელიც შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას, დაასაქმოს სკოლაში. ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.*

4. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. კლასის ხელმძღვანელების მხრიდან ხშირად იგეგმება და ხორციელდება პროექტები მშობელთა ჩართულობით, იმართება პრევენციული ღონისძიებები ბუღინგის საწინააღმდეგოდ. სადამრიგებლო პროგრამებში და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლის დირექტორის N2-04 (04.03.2024) ბრძანებით დამტკიცებულია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი. *ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.*

5. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლის შიდა, ასევე - გარე პერიმეტრზე. მოწესრიგებულია სველი წერტილები. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სველი წერტილების, დერეფნების, კიბის საფეხურებისა და სახელურების სველი წესით დამუშავებას. სკოლის დერეფანში განთავსებულია არაერთი სადეზინფექციო ხსნარი ხელის დასამუშავებლად. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია სტანდარტის შესაბამისად. პანდემიის პერიოდში და შემდგომაც მშობელთა მხრიდან არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება ჰიგიენური პირობების დაცვის მაღალ სტანდარტზე. სკოლას ჰყავს სამტატო განრიგით გათვალისწინებული 1 და დასაქმების ხელშეწყობის

სახელმწიფო პროგრამით დასაქმებული 1 დამლაგებელი, სულ - 2 დამლაგებელი. სკოლაში სამეურვეო საბჭოს N5 (13.03.2024) ოქმით დამტკიცებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც ცალკე თავადაა გაწერილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე, პერსონალური მონაცემები შენახულია ციფრულადაც, რომლის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადაც მხოლოდ თავისი შვილის/შვილების ქულებს და განმავითარებელ კომენტარებს ნახულობს. მატერიალური საკლასო ჟურნალები ინახება კანონმდებლობის დაცვით. სკოლამ წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც სკოლის დირექტორის მიერ დირექტორის 2024 წლის 2 აპრილის N 2-04 ბრძანებითაა დამტკიცებული, რომლის მე-9 მუხლშიც ვკითხულობთ, რომ სკოლას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ჰყავს და მისი ფუნქციებიცაა გაწერილი. სკოლის დირექტორის 2024 წლის 5 მარის N 2-05 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, თუმცა სკოლას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი დასაქმებული არ ჰყავს. *სკოლას ვურჩევთ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი დაასაქმოს სკოლაში.* **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა მონაცემების შეგროვებას დამუშავებასა და დაცვას ახდენს „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით, აღნიშნული გაწერილია თანამშრომლებთან და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში, შინაგანაწესში. სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია დაცულია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა მუდმივად აკვირდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას, პერიოდულად შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოთა სხდომებზე ხდება მათი შეფასება, რაც უპირობოდ გამოიყენება მისი გაუმჯობესებისთვის.

სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარადგენს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე. აღნიშნული დადასტურდა დირექციასთან და სკოლის პერსონალთან გასაუბრებითა და მრჩეველთა საბჭოს ოქმით. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ვიდეო სამეთვალყურეო კამერის ფოტოები
2. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი
3. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
4. პროექტები
5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი
6. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი - 2024 წლის 2 აპრილის N 2-04 ბრძანება
7. სამეურვეო საბჭოს N5 (13.03.2024) ოქმი
8. უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის დირექტორის N 2-03 (04/03/2024) ბრძანება
9. უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
10. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები - სკოლის დირექტორის N 1/კ-08 ბრძანება (19/04/2024).



11. 2024 წლის 15 მარტს N MES 24 000312475 წერილი შსს სსდ სიტუაციების მართვის სამსახურს სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასადგენად
12. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი - დირექტორის N2-04 (04.03.2024) ბრძანება
13. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი
14. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი - დირექტორის 2024 წლის 5 მარტის N 2-05 ბრძანება
15. მრჩეველთა საბჭოს ოქმი N1 (20.10.2023)
16. მრჩეველთა საბჭოს ოქმი N2 (29.12.2023)
17. საჯარო ინფორმაცია - 10 დეკემბრის ანგარიში პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შენობა უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით, გათბობით, ელექტრომომარაგებითა და საკანალიზაციო სისტემით. სკოლის ტერიტორიაზე დგას 2 დამხმარე შენობა: გათბობის ქვების შენობა და სველი წერტილი. სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელი. სკოლის დაზუსტებული ფართობი 1305100 კვ. მეტრია, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერითა და შენობა-ნაგებობების სქემით. სკოლის მთელ ტერიტორიას ფარავს უკაბელო ინტერნეტის სისტემა, აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. სკოლაში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი და სპორტული მოედანი. სკოლას 100 მოსწავლეზე აქვს მოთხოვნა. ამ ეტაპზე სკოლაში სწავლობს 7 მოსწავლე (ერთ ცვლაში). სკოლის ინფრასტრუქტურა გამართულია. სკოლას ამ ეტაპზე აქვს 50 მერხი და სკამი, 7 პერსონალური კომპიუტერი, 15 ლეპტოპი, 3 პრინტერი. ამ ეტაპზე ორ ცვლაში სკოლას შეუძლია მიიღოს 100 მოსწავლე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სპორტული მოედანი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში მოსწავლეებისთვის არსებობს მოწესრიგებული და უსაფრთხო გარემო. მნიშვნელოვანი რესურსია სკოლისთვის რესურსოთახი. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. აღსანიშნავია, რომ სკოლას 2024-2025 სასწავლო წლისთვის ეყოლება პირველი, მეორე, მეხუთე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასები. აქედან პირველ კლასში იქნება 2 მოსწავლე, სხვა კლასებში თითო-თითო. მოსწავლეებს შეუძლიათ სრულად და ჯეროვნად გამოიყენონ სპორტული სივრცე და აღჭურვილობა. გარდა საგაკვეთილო პერიოდისა, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს და მთლიანად სოფლის თემს (მათთვის ცალკეა გრაფიკი შედგენილი), საშუალება აქვთ არასაგაკვეთილო პერიოდშიც გამოიყენონ სპორტული სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია: კომპიუტერი, პრინტერი, ქსეროქსი, სკანირება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომლის განახლება პერიოდულად ხდება. განახლების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასევე, მასწავლებელთა სურვილები სასწავლო რესურსად გამოიყენონ მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველას - მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. ბიბლიოთეკის მუშაობას წარმართავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რის შესაბამისადაც ხდება სასწავლო რესურსების კატალოგის დამუშავება. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე, დგას კომპიუტერი და პრინტერი, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები და სკოლის სხვა თანამშრომლები. სკოლის ბიბლიოთეკარი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებშია დასაქმებული, რადგან შტატით არ არის განსაზღვრული ბიბლიოთეკარი. გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, ელექტრორესურსები, რუკები, პლაკატები მოსწავლისა და მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომია. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია ის რესურსები, რაც საგნის სწავლებისთვის წლის მანძილზე არის საჭირო. სკოლა ცდილობს შეიძინოს აღნიშნული რესურსები. წლების მანძილზე სკოლაში დაგროვდა შეძენილი თუ შექმნილი (მასწავლებლების, მოსწავლეების) რესურსები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა და წარმატებით ხდება მათი მოხმარება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფილია ყველა იმ საჭირო ინფრასტრუქტურული ერთეულით, რაც ხელს უწყობს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლაში არის ინდივიდუალური მერხები. სკოლის შენობას აქვს პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები., რესურსთაზე შესაბამისი აღჭურვილობითა და რესურსებით. დირექტორის N2-04 (04.03.2024) ბრძანებით დამტკიცებულია და სკოლის ვებ-გვერდზეა გასაჯაროებული სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ამისათვის სკოლაში არსებობს სამკითხველო, სარეკრიაციო სივრცე. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია საქართველოს დროშა, გერბი და ჰიმნი. აქვე დგას „ინიციატივების ყუთი.“ სკოლის ეზოში აღმართულია საქართველოს დროშა. სპორტული სივრცე გამოყენებულია სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად, თუმცა, სპორტულ მოედან ესაჭიროება რეაბილიტაცია. საკლასო ოთახებსა თუ დერეფნების კედლებზე და სივრცეებში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი

3. საგნობრივი კურიკულუმი
4. კათედრის ოქმები
5. ლექტორების, პროექტორების, მერხების, დაფების მიღება-ჩაბარების აქტები
6. პროექტები
7. ფოტომასალა
8. შენობის ნახაზი
9. ბიბლიოთეკის დებულება - ბრძანება N 2-19 (27.11.2023)
10. საინვენტარიზაციო უწყისი
11. ძირითადი აქტივები
12. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი - ბრძანება N2-19
13. ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერისა და პრინტერის ამსახველი ფოტო
14. სოფლის თემისთვის კომპიუტერთა და პრინტერთ სარგებლობის გრაფიკი
15. დირექტორის N2-04 (04.03.2024) ბრძანება - სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მუდმივი ინტერნეტით. სკოლაში არსებული IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ადმინისტრაციული მართვა და საქმისწარმოება მთლიანად ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ხდება. სისტემატურად იყენებენ მასწავლებლები სასწავლო პროცესში ციფრულ ტექნოლოგიებს, ინტერნეტ რესურსებს. მათ გამოყენებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლაში მოქმედი WI FI -ის სისტემის როლი. 7 პერსონალური კომპიუტერი, 15 ლეპტოპი, 3 პრინტერი. სკოლას აქვს სკოლის დირექტორის მიერ დირექტორის N2-04 (04.03.2024) ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და ციფრული განვითარების გეგმა. ორივე ეს დოკუმენტი ლაბორატორიებში და ბიბლიოთეკაშია გამოკრული და გასაჯაროებულია სკოლის ვებ-გვერდზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ინტერნეტზე შეუზღუდავი წვდომა, რაც იძლევა საშუალებას IT ინფრასტრუქტურა იყოს ფუნქციონირებადი. დამონტაჟებულია WI FI მოწყობილობები. ყველა კლასში და სამასწავლებლოში არის ინტერნეტთან წვდომა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლეპტოპები, ინტერნეტი, ქსეროქსის აპარატები მუდმივად, სტაბილურად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. მათ აქვთ შესაძლებლობა, ადგილზე მოამზადონ პრეზენტაციები, მოიძიონ საჭირო ინფორმაციები, ამოებჭდონ საჭირო მასალა და ა.შ. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა ელექტრონული ჟურნალი შეავსოს სრულფასოვნად სამუშაო დღის განმავლობაში. რადგან სოფელი რაიონს 16 კილომეტრითაა მოშორებული, სკოლამ თემს მისცა უფლება ისარგებლოს ინტერნეტით, კომპიუტერით, ქსეროქსით, სკანერით, ამოებჭდვით, რისთვისაც გამოყო განრიგი სამუშაო დღეებში 15 საათიდან 17 საათამდე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი - ბრძანება N 2-04 (04.03.2024)
2. ციფრული განვითარების გეგმა - ბრძანება N 2-04 (04.03.2024)
3. ფოტოები
4. განრიგი თემისთვის

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის დადგენილი წესით, როგორც ელექტრონულად, ისე - მატერიალურად. სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა, შემოსული და გასული დოკუმენტების ელექტრონული აღრიცხვა, პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმის წარმოება. სკოლის დირექტორის N2-04. (04.03.2024) ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, დირექტორის მიერ გამოცემულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ხდება შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვაც. საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონულად. სკოლის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორისაც ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს საქმისწარმოება. დოკუმენტები ინახება შესაბამისად და რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალებში. პერსონალისა და მოსწავლის პირადი საქმეები სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შემოსულ წერილებს პასუხები ეგზავნებათ შესაბამის ვადებში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. ელექტრონული საქმისწარმოებისათვის სკოლის მართვისას აქტიურად გამოიყენება eflow, eschool და ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge. ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა სამივე საშუალებასთან. eflow, eschool და ელექტრონულ ფოსტაზე teachers.gov.ge საკუთარი გვერდები აქვთ თანამშრომლებს. საჭიროებისას და გადაუდებელი აუცილებლობისას სკოლის სამუშაო შეხვედრები იმართება teams-ის პლატფორმაზე, რაც სკოლამ თვითშეფასების ფორმაში აღნიშნა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის გადამოწმებამ აჩვენა, რომ ბაზაში ასახულია სკოლის შესახებ ყველა სახის ინფორმაცია. მათ შორის: სკოლის, მოსწავლეთა, მშობელთა, პერსონალთა მონაცემები, სკოლის ბიუჯეტი, სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, საგაკვეთილო განრიგი, კლასებისა და დამრიგებლების რაოდენობა, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საშტატო განრიგი და ა. შ. სკოლის პროფილი სრულყოფილია. სკოლის გვერდის სრულყოფაზე და სათანადოდ მართვაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო სკოლის საქმისმწარმოებელი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ასევე, საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მყისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი

არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. სკოლის *eschool* -ის გვერდი
2. სკოლის *eflow* -ს გვერდი
3. სკოლის ელექტრონული ფოსტა *mes.gov.ge*
4. საქმისწარმოების წესი - დირექტორის N2-04. (04.03.2024)
5. ანგარიშები პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სკოლას აქვს სკოლის დირექტორის 2024 წლის 3 მარტის N 2-04 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. სკოლა საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებს სოციალურ ქსელს - სკოლის ფეისბუქგვერდს, სკოლის ვებ-გვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის



ძირითადი საკითხები გაზიარებული იქნას სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის შემოსასვლელ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად აახლებს ინფორმაციებს. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარებისა და განხილვის მიზნით. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც გასაჯაროებულია ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ სხვადასხვა არხით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. თუ ინფორმაცია ვრცელდება ოფიციალურად, მათ შორის სოციალური ქსელის სკოლის გვერდზე, ამ ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობაზე პასუხს აგებს გვერდის ადმინისტრატორი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონულ ფოსტას, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, Teams-ს. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხშირია საზოგადოებაში არსებულ პრიორიტეტულ თემებზე დაგეგმილი აქტივობები, პროექტები. და ღონისძიებები. დამრიგებლის უფლება-მოვალეობებით განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის ვალდებულება, რის მიხედვითაც ისინი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს და მათგან იღებენ უკუკავშირს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას აქვს სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ-გვერდი, სადაც ქართულ ენაზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, რასაც თავად ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ადასტურებს: <https://skolebi.emis.ge/schools/1018?schoolName> **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის ვებ გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/1018?schoolName> სკოლის შესახებ სრულად შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. კონკრეტულად კი სკოლის შესახებ შემდეგი ინფორმაციაა განთავსებული: შეფასების სისტემის ვერიფიკაციის, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, სტატუსის შეჩერების, ხარისხის უზრუნველყოფის, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები, მატერიალური რესურსებით სარგებლობა, ბიბლიოთეკით სარგებლობის, საქმისწარმოების, პერსონალურ მონაცემებთან დაცვის, შინაგანაწესი, საჩივრის განხილვის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესები, ადამიანური რესურსების მართვის, უსაფრთხოების პოლიტიკები, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები, სსსმ მოსწავლეებთან საგანგებო სერვისების მიწოდების რეგულაციები, სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლება-მოვალეობები, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ამსახველი დოკუმენტი, ციფრული განვითარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის ბიუჯეტი. ფაქტიურად, სკოლის ძირითადი დოკუმენტებია განთავსებული ვებ გვერდზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებ-გვერდი: <https://skolebi.emis.ge/schools/1018?schoolName>
2. სკოლის საინფორმაციო დაფა
3. სოციალური ქსელის ჯგუფები
4. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი - 2024 წლის 3 მარტის N 2-04 ბრძანება (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
5. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
6. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
7. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, სტატუსის შეჩერების, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
8. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმი (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
9. მატერიალური რესურსებით სარგებლობა წესი (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
10. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
11. საქმისწარმოების წესი (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
12. პერსონალურ მონაცემებთან დაცვის წესი (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
13. შინაგანაწესი (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
14. საჩივრის განხილვის წესი (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
15. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
16. უსაფრთხოების პოლიტიკა (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
17. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
18. სსსმ მოსწავლეებთან საგანგებო სერვისების მიწოდების რეგულაციები (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
19. სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლება-მოვალეობები (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
20. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ამსახველი დოკუმენტი (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
21. ციფრული განვითარებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)
22. სკოლის ბიუჯეტი (ვებ გვერდზე გამოქვეყნებული)

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი არის ვაუჩერული დაფინანსება. შემოსავლების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ხმარდება პერსონალის ხელფასით უზრუნველყოფასა და კომუნალურ გადასახადებს. თუმცა, დარჩენილი თანხა მიმართულია იმ პრიორიტეტებზე, რომელიც სკოლის სამოქმედო გეგმითაა განსაზღვრული. მიუხედავად ნაკლები შემოსავლებისა, სკოლა ახარებს მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. შესყიდვების გეგმის გათვალისწინებით დირექტორი წარუდგენს და სამეურვეო საბჭო ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. წლის მანძილზე შესყიდვების გეგმის განხორციელება და ბიუჯეტის განკარგვა ხდება შესყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. 10 დეკემბრამდე დირექტორი ფინანსურ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების გეგმა და ბიუჯეტი დამტკიცებულია წინა წელს, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სათანადო წესების დაცვით მასში ცვლილებების შეტანა, რაც უფრო მოქნილს ხდის სკოლის ფინანსურ მართვას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი
2. 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება N 2-15 (15.11.2023)
3. ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება N 2-17 (27/11.2023)

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები. შინაგანაწესში დაწვრილებით არის გაწერილი როგორც მოსწავლის წახალისების, ისე - დისციპლინური წარმოების წესი. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური სახდელები შესაბამისობაშია დისციპლინურ გადაცდომებთან ისე, რომ არ ირღვევა მოსწავლის საუკეთესო ინტერესები, დაცულია ინფორმაციის კონფიდენციალურობის საკითხი, ყველა საკითხი შესაბამისობაშია ზოგადი განათლების კანონთან და ბავშვის უფლებათა კოდექსთან. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელიც სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის 4 მარტის N 2-04 ბრძანებითაა დამტკიცებული და სკოლის ვებ გვერდზეცაა გასაჯაროებული. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დისციპლინურ კომიტეტს არ განუხილავს არც ერთი მოსწავლის საკითხი, რაც დადებით ტენდენციად

მიანიშნებს. შიდასასკოლო რეგულაციები, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მასწავლებელთა მორიგეობა, კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა და ანგარიშები ადასტურებს, რომ სკოლაში მოსწავლეთათვის დაცულია უსაფრთხო გარემო. ვიზიტის დროს ინტერვიუებისას ნათელი გახდა, რომ მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას ემსახურება მთელი სასკოლო საზოგადოება, თვითგამოხატვის უზრუნველყოფა ხდება სასკოლო ცხოვრების ყველა დონეზე მოსწავლეთა ჩართულობით. საგნის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მათივე მონაწილეობით გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლას გამოყოფილი აქვს რესურსთაზი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსით, სკოლას 2-04 (4.03.2024) ბრძანებით აქვს დამტკიცებული სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, თუმცა ამჟამად სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები. სკოლაში არის მასწავლებელი, რომელიც სპეციალური ინკლუზიური ტრენინგ-კურსით არის გადამზადებული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, სკოლის საინფორმაციო დაფაზე და გასაჯაროებულია სკოლის ვებ გვერდზე. დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია მოსწავლეთათვის შინაგანაწესისა და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების გაცნობის ვალდებულება, რაც ყოველი წლის დასაწყისში სრულდება. ასევე, სკოლას აქვს სოციალური გვერდი, რომელზეც ქვეყნდება შესაბამისი დოკუმენტები და ინფორმაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს კანონმდებლობის შესაბამის ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს ხელშეკრულების სავალდებულო პირობებს, სკოლის ვალდებულებებს და უფლებებს, მოსწავლის მშობლის ვალდებულებებს და უფლებებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების უფლებებს, ხელშეკრულების მოქმედების და შეწყვეტის პირობებს, დავის გადაწყვეტისა და დამატებით პირობებს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი

2. მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება (15.09.2023)

3. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი - ბრძანება N 2-04 (04.03.2024)

4. სსსმ პირთათვის საგანმანათლებლოსერვისების მიწოდების რეგულაცია - ბრძანება N 2-04 (04.03.2024)

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლის საფეხურის დაძლევის, მობილობის შემთხვევაში განსხვავებული საგნების სწავლების საკითხებს, სკოლის განმარტებით მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვის, მობილობისა და სხვა პროცედურებისთვის ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლას 2024 წლის 4 მარტის N 2-04 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი. სკოლა მუდმივად თვალს ადევნებს და მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობას; დროულად ეცნობა ინფორმაციას მოსწავლეთა რეგისტრაციის ეტაპებისა და სხვადასხვა საფეხურზე ჩარიცხვის თაობაზე; არ აწესებს ბარიერებს მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით; სკოლაში წარსადგენი საჭირო დოკუმენტაციის თაობაზე მოქმედებს კანონის შესაბამისად. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილის შერჩევითი პრინციპით დათვალიერებისას სკოლა კანონმდებლობით დადგენილი პორცედურებით ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის

შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ შეესაბამება სკოლის კანონმდებლობას და ასახულია მართვის საინფორმაციო სისტემაში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დამრიგებლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მშობლებთან შეხვედრები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი, გასაჯაროებულია სკოლის ვებ გვერდზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე საკმაოდაა ინფორმაცია აქტივობების შესახებ. სკოლის ვებ გვერდზე და სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია გამჭვირვალეა, არადისკრიმინაციული და ვალიდური, რაზეც პასუხისმგებელი გვერდის მართვაზე გამოყოფილი პირია. სკოლის ფეისბუქ გვერდზე მოსწავლეთა სურათები მშობელთა თანხმობის საფუძველზეა გამოქვეყნებული და არ შეიცავს რაიმე ფორმის მადისკრიმინირებელ ინფორმაციას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის ვებ გვერდი: <https://skolebi.emis.ge/schools/1018?schoolName>
2. სკოლის სოციალური ქსელი
3. საბაზო საფეხურის დამლევის ბრძანება N2-06 (16.06.2023)

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)



3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ცალკე დოკუმენტად აქვს გაწერილი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომელიც სკოლის დირექტორის 2024 წლის 4 მარტის N 2-04 ბრძანებითაა დამტკიცებული, სადაც გაწერილია პირველკლასელთა და სკოლაში გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. მომავალი პირველკლასელთა მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის ეწყობა ღია კარის დღე. სკოლაში შემოსვლის პირველ დღეს ტარდება საუბარი პირველკლასელებთან დამრიგებლის მიერ. პირველ კვირაში პირველკლასელები ეცნობიან სკოლის გეოგრაფიას: სად მდებარეობს სველი წერტილები -გოგონებისთვის, ვაჟებისთვის, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, ექთნის ოთახი და ა. შ. პირველი ორი თვის განმავლობაში პირველკლასელებს არ ეძლევათ საშინაო დავალებები და მასწავლებლები განსაკუთრებულად ეხმარებიან, რათა სასწავლო მასალა საკლასო ოთახშივე დაამუშაონ. ეს მნიშვნელოვანია მათი თვითშეფასების ასამაღლებლად. პირველი კლასის საკლასო ოთახებში გამოიყოფა სივრცე არასაგაკვეთილო მიზნებისთვის (დასვენება, გართობა, თამაში). პირველკლასელებს საშუალება ეძლევათ სკოლაში ატარონ მათი საყვარელი სათამაშო, რომელიც ასევე საგაკვეთილო მიზნებისთვის იქნება გამოყენებული (მოუყვებიან ამბავს, გაუზიარებენ დღის ემოციებს და ა. სკოლაში გადმოსული მოსწავლეების ადაპტაცია კი ასე ხდება: კლასის დამრიგებელი ახალ გადმოსულ მოსწავლეს აცნობს კლასს. კლასის დამრიგებელი ახალ გადმოსულ მოსწავლეს ამატებს კლასის საერთო ჩატში (13წლის ზემოთ), ასევე ამატებს მშობელს მშობლების ჩატში. დამრიგებელი კრებს ინფორმაციას საგნის მასწავლებლებიდან, ასევე აკვირდება მოსწავლეს სხვადასხვა გარემოში (გაკვეთილებზე, დასვენებაზე...). კლასში ახალი მოსწავლის გადმოსვლიდან მაქსიმუმ 1 კვირაში დამრიგებელი გეგმავს დამრიგებლის საათს შესაბამისი თემატიკით. თემატიკა შეიძლება იყოს: ამოვიცნოთ მახასიათებლები, რასაც მეგობრობამდე მივყავართ; შევიცნოთ, როგორ გავლენას ახდენს მეგობართა ჯგუფზე ახალი მეგობრის შემენა; როგორ შევიძინოთ ახალი მეგობრები; სოციუმი ჩემ გარშემო; მე-პიროვნება; ჩემი სურვილები საკლასო ცხოვრების გასამრავალფეროვნებლად; მე და სხვები; მეგობრობის ძალა ერთობაშია და სხვა. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეთა სკოლით კმაყოფილების იდენტიფიცირებისთვის კლასის დამრიგებელი ატარებს გამოკითხვას. საჭიროების გამოვლენისთანავე კლასის დამრიგებელი მიმართავს დირექციას კონსულტაციისათვის. დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები ხელს უწყობენ ახალი მოსწავლის აზრის გამოხატვას.ახალისებენ მას. დამრიგებელი თანამშრომლობს მშობელთან და ხშირად აცნობს ახალი მოსწავლის



შესახებ ინფორმაციას მხარდამჭერის პოზიციიდან. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მშობელთან ინდივიდუალური გასაუბრება. ინტერვიუების დროსაც და ინფრასტრუქტურის დათვალიერებისასაც გამოიკვეთა, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ასევე ხელს უწყობენ მობილობით გადმოსულ მოსწავლეს სასკოლო და სასწავლო გარემოში ადაპტირებაში, თუმცა ასეთი შემთხვევა იშვიათია სოფლის მიგრაციის გამო. კლასის ხელმძღვანელებს სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქვთ სხვადასხვა აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. დამრიგებელი მუდმივად ზრუნავს ახალ მოსწავლეებზე. პირველკლასელებს აქვთ საშუალება დაწვრილებით გაეცნონ სასკოლო გარემოს. შემუშავებული აქტივობების საშუალებით სკოლა ცდილობს პირველკლასელთა სასწავლო გარემოსთან შეგუებას. სკოლაში მობილობით შემომატებულ მოსწავლეებს რთავენ სხვადასხვა სპორტულ თუ ინტელექტუალურ აქტივობაში, რაც მათ ადაპტაციას აადვილებს. დამრიგებელი ახალ მოსწავლეებს აცნობს ცხრილს, სკოლაში და კონკრეტულ კლასში დამკვიდრებულ მიდგომებსა და ტრადიციებს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის უწევენ კონსულტაციებს, კერძოდ, მოსწავლეებისთვის ტარდება დამატებითი შეხვედრები და მიეწოდებათ სხვადასხვა რესურსი. მიღწევების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტებს და რემედიაციულ პროცესებს. სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა აკადემიური უნარების გაუმჯობესებაზე. კლასის ხელმძღვანელები საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობით ახდენენ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და საჭიროებისამებრ /სემესტრის ბოლოს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით პირისპირ ან ელექტრონულად მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ ინფორმაციას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კანონით დადგენილ ვადებში გასცემს ცნობას. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტით დგინდება ექსტერნატის ფორმით დამლევის, გამოცდის ჩატარებისა და ექსტერნად რეგისტრაციის ვადები. სკოლაში გამოიცემა მოსწავლეების საბაზო საფეხურის დამლევისა და მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება. სკოლა განსაზღვრავს პირველ კლასში მოსწავლეთა ლიმიტს, რომელიც აისახება ელექტრონულად Eschool-ის ბაზაში. გამოიცემა შესაბამისი აქტი. ასევე მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ამორიცხვის შესახებ ბრძანებები. ამ ინფორმაციის გაცნობას დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოფს სკოლა. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს ყოველგვარი ძალადობისგან. სკოლაში დირექტორის

ბრძანებით გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა დამატებით სავალდებულო მომსახურებას არ სთავაზობს მოსწავლეებს, დაწესებულების ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს არაფორმალური აქტივობების განხორციელებას, რაც გამოიხატება სხვადასხვა ხასიათის და შინაარსის ღონისძიებებში, საგანმანათლებლო და შემეცნებით ექსკურსიებში და ა.შ. სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხდება არაფორმალური აქტივობებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა. სპორტის მასწავლებელმა ჩაატარა სასწავლო პროექტი „ვუთხრათ არა მავნებს ჩვევებს,“ რომლის მიზანი იყო მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება, მავნე ჩვევების უარყოფითი შედეგების მოსწავლეთათვის გაცნობა, ჯასადი ცხოვრების წესის დამკვიდრება, პრობლემების დაძლევის უნარჩვევების გამომუშავება, პიროვნების თვითრეალიზება. პროექტის ჩართული იყო სკოლის ყველა მოსწავლე. მემორანდუმის ფარგლებში სკოლის ყველა მოსწავლე ასევე ესტუმრა ქუთაისის მაკდონალდს. სკოლის დირექტორის 2024 წლის 4 მარტის N 2-04 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებით (სადამრიგებლო კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა /მშობელთა და დაინტერესებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. დაწესებულებამ წარმოადგინა დამრიგებლის ჟურნალი, ასევე, ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ იგეგმება სხვადასხვა ფორმის კითხვარის შემუშავება და დანერგვა მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გამოკვეთის მიზნით. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი - ბრძანება N 2-04 (04.03.2024)
3. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი - ბრძანება N 2-04 (04.03.2024)
4. ძალადობის შემთხვევაში იდენტიფიკაციასა და რეფერარზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება N 1/კ-02 (04.03.2024)
5. პროექტი - „ვუთხრათ არა მავნე ჩვევებს.“
6. პროექტი - „არა პიროტექნიკას.“
7. სოციალური პროექტი - „ხელოვნური ინტელექტი“
8. სტატია - „მთავარი მაინც მამული არის.“

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება, რაც გამოიხატება გასვლით გაკვეთილებში, სკოლაში შესაბამისი სტუმრების მოწვევასა და აღნიშნული საკითხების კომპლექსურ დავალებებში ინტეგრაციაში. სკოლამ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში „ემეგობრე პოლიციას,“ გამართა შეხვედრა დეპარტამენტის სამტრედიის ფილიალის დეტექტივთან და უფროს ინსპექტორ ვიცე-პოლკოვნიკთან, რომლებსაც ჰქონდათ არასრულწლოვნებთან მუშაობის გამოცდილება. პროექტის მიზანი იყო არასრულწლოვანთა ინფორმირება, თუ რა ვალდებულება და პასუხისმგებლობა აქვს პოლიციას მათ ყოფა-ცხოვრებაში. სტუმრებმა შეახსენეს ბავშვებს თავიანთი უფლება-მოვალეობები, დარიგდა საინფორმაციო ბუკლეტები. ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო მოსწავლეთა პროფორიენტაციისთვის. ბავშვებმა დაამზადეს საინფორმაციო პლაკატი და გამოაკრეს სკოლის დერეფანში. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომ კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რაც შესაბამისობაშია სკოლის მისიასა და გრძელვადიან მიზნებთან. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში, ტრადიციულად, მოსწავლეებს მიეწოდებათ აქტუალური ინფორმაცია როგორც საბაზო, ასევე საშუალო საფეხურის დასრულების შემდგომ არსებული კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. პროცესში ჩართულია როგორც დირექცია, ასევე, კლასის დამრიგებლები და პედაგოგები. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით მოსწავლეებს მიეწოდებათ სხვადასხვა პროფესიული დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია. სკოლა საჭიროებისამებრ ეხმარება სხვადასხვა ორგანიზაციებთან დასაკონტაქტებლად, არაფორმალური აქტივობების განსახორციელებლად. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით უკუკავშირებს იღებს მშობლებთან შეხვედრებისას კითხვარის შევსების ფორმატში მატერიალური სახით. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის დირექცია გეგმავს ჩაატაროს კვლევა მოსწავლეთა

პროფესიული ინტერესების დადგენისათვის და შედეგებიდან გამომდინარე დაგეგმოს ყველაზე მოთხოვნადი პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრა. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. სკოლის სოციალური ქსელი
2. მშობლების მიერ შევსებული კითხვარი სტრატეგიული გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.
3. პროექტი - „ვემეგობროთ პოლიციას“

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის და ასევე, მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში ამჟამად არცერთი სსსმ მოსწავლე არ სწავლობს. სკოლაში ერთი რესურსოთახია შესაბამისი ინვენტარითა და რესურსებით აღჭურვილი. სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეთან საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც დირექტორის მიერ 2024 წლის 4 მარტის N 2-04 ბრძანებითაა დამტკიცებული და გასაჯაროებულია სკოლის ვებ გვერდზე. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, საჭიროების შემთხვევაში სკოლა იხელმძღვანელებს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმით, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლას აქვს :პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები, რესურსოთახი. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

2. სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია - ბრძანება N 2-04 (04.03.2024)

3. რესურსოთაბის ფოტოები

ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არა აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის ისეთი მომსახურებები, როგორიცაა: გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვ. სკოლის მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, რომელსაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი. სკოლას ემსაურა 2 ტრანსპორტი: **1. მიმართულება** -მერსედესის მიკროავტობუსი - ქვემო გამოჩინებული - პატარა ოფეთი - ოფეთის N1 საჯარო სკოლა - დიდი ოფეთის ცენტრი - ოფეთის N1 საჯარო სკოლა. **2. მიმართულება** - ნისანის მარკის მსუბუქი ავტომობილი - გამოჩინებული - ოფეთის N1 საჯარო სკოლა. მძღოლებს აქვთ მართვის მოწმობები და ავტომობილის პასპორტები. ავტომობილებს გავლილი აქვს ტექნიკური შემოწმება, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის ნახვა შესაძლებელია ტექნიკური ინსპექტირების სააგენტოს შესაბამის ვებ გვერდზე. ახალი სტანდარტის მიხედვით ავტომობილის ტექნიკური დათვალიერებისას აღარ იძლევიან დამადასტურებელ დოკუმენტს, ელექტრონულად შესაბამის პროგრამაში ავტომობილის ნომრის შეყვანით შესაძლებელია



დაინტერესებულმა პირმა გაეცნოს შესაბამის ინფორმაციას. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურება, ტრანსპორტირების სერვისის გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
3. ტრანსპორტირებით მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვითა და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, რისი მტკიცებულებაცაა ტრანსპორტის ტექნიკური ინსპექტირების ანგარიში. შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ტრანსპორტის პასპორტები

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

დაწყებითი საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. 2.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია
2. 2.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია
3. 2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია
4. 2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

2. უცხოური ენების კურიკულუმები;

3. პედაგოგის ოქმი N4 კურიკულუმების შემუშავებაზე;

4. ჰუმანიტარული კათედრის ანალიზი

5. კურიკულუმები მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

6. ესტეტიკის კათედრის ოქმი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** დაწყებითი კლასების კურიკულუმში, (I-II-V) კლასების შემთხვევაში, თავდაპირველად არ იყო წარმოდგენილი საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სამი თემატური ბლოკი. კერძოდ: I კლასის კურიკულუმში მხოლოდ 2 თემატური ბლოკი იყო წარმოდგენილი, ხოლო - II და V კლასის კურიკულუმებში მხოლოდ ერთი თემატური ბლოკი. თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა გასწორებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები და ექსპერტის მიერ გაიცა შემდეგი **რჩევა**, დაწყებითი კლასების **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** კურიკულუმებში, სასურველია მეტად დაკონკრეტდეს ძირითადი საკითხი/საკითხები. პირველი კლასის სახვითი და გამოყენებითი კურიკულუმის მე-6 თემის თემატური ბლოკის სახელწოდება გადავიდეს თემის სახელწოდებად. **სახელმწიფო ენის** კურიკულუმები თავდაპირველად არ არ მოიცავდა ყველა აუცილებელ კომპონენტს. (წარმოდგენილი იყო მხოლოდ კურიკულუმის ჩარჩოები, არცერთ მათგანს არ ახლდა დანართი და შეფასების რუბრიკა). საქალაქო დონეებზე მხოლოდ კურიკულუმის ჩარჩოები იყო წარმოდგენილი, ზოგიერთ კლასში მხოლოდ - ნაწილობრივ შევსებული. თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა გასწორებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები და ექსპერტის მიერ გაიცა შემდეგი **რჩევა**, კურიკულუმის ჩარჩოებში, სასურველია საკითხთა სვეტში აღნიშნული ტექსტები გადაიტანონ ძირითადი რესურსის/კონტენტის მაგალითების სვეტში. თავდაპირველად მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნები არ წარმოადგენდა შემოქმედებით პროდუქტს, რადგან კურიკულუმებში არ ჩანდა ეს შუალედური მიზნები ან იყო მითითებული ძალიან მცირე რაოდენობით: სკოლის მე-2 და მე-3 კლასის კურიკულუმში არ იყო შეტანილი არცერთი ამ ტიპის დავალება. მე-2 და მე-3 კლასებში კურიკულუმები არ იყო

სრულყოფილი; ხოლო მე-4 კლასში იყო შეტანილი მხოლოდ 1 დავალება თემაში „მონაცემთა შეგროვების საშუალებები“, მე-5 კლასში 1 დავალება თემაში „რიცხვები და მოქმედებები“, მე-6 კლასში 1 დავალება თემაში „რიცხვები და მოქმედებები.“ თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა გასწორებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები შესაბამისად, **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან სახელმწიფო ენის დაწყებითი საფეხურის არცერთი კლასის კურიკულუმის ჩარჩოს არ ახლდა დანართი, სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში არ ჩანდა აქტივობების ეტაპები, არ იყო წარმოდგენილი რაიმე ფორმით აქტივობების ამსახველი მასალა. ასევე, მათემატიკის მე-2 და მე-3 კლასებში კურიკულუმები არ იყო სრულყოფილი; ხოლო მე-4 კლასში არ იყო შეტანილი მხოლოდ 1 დავალება თემაში „მონაცემთა შეგროვების საშუალებები“, მე-5 კლასში 1 დავალება თემაში „რიცხვები და მოქმედებები“, მე-6 კლასში 1 დავალება თემაში „რიცხვები და მოქმედებები.“ თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა გასწორებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან სკოლამ თავდაპირველად წარმოადგინა სახელმწიფო ენის პირველი კლასის კურიკულუმი, რომელიც შედგენილი იყო ნესტან კუპრავას სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც არაგრიფირებულია. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში არ იყო რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც ასაბუთებდა, რომ აღნიშნული ძირითადი სასწავლო რესურსი შეთანხმებული იყო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.. თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა პირველ კლასში გრიფირებული სახელმძღვანელოს მიხედვით შემუშავებული კურიკულუმი, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან სკოლის მიერ გადმოგზავნილ სახელმწიფო ენის მასალებში არ იყო წარმოდგენილი რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც მიუთითებდა ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებზე. თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა გასწორებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენაში შეფასების სისტემა არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, არ აფასებდა მოსწავლეთა მიღწევებსა და გასაუმჯობესებელ მხარეებს სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებსა/ცნებებსა და შუალედურ მიზნებთან მიმართებით. ასევე, სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი ბუნებამეტყველების (I-VI კლასი) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შესაბამისად, შეუძლებელი იყო დადგენილიყო რამდენად შეესაბამებოდა შეფასება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა გასწორებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები. ბუნებამეტყველების ექსპერტის მიერ გაიცა რჩევა, სასურველია, სასწავლო პროცესის შეფასებისას, წარამოდგენილ რუბრიკებთან (შუალედურ მიზანს აფასებს) ერთად, გამოყენებული იქნეს მოსწავლეთა თვითშეფასების, ურთიერთშეფასების, კვლევითი დავალების და სხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
2. მისია, ხედვა, ღირებულება
3. ფეისბუქ გვერდი
4. სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმა
5. სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგია
6. პედაგოგის სხდომის ოქმი
7. მშობელთა კითხვარი
8. სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
9. ინტერვიუ კათედრასთან
10. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო (მე და საზოგადოება)
11. კომპლექსური დავალება (მე და საზოგადოება)
12. შეფასების რუბრიკები (მე და საზოგადოება)
13. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო (ჩვენი საქართველო)
14. შემაჯამებელი დავალება (ჩვენი საქართველო)
15. შეფასების რუბრიკები (ჩვენი საქართველო)
16. ბუნებისმეტყველების I – VI კლასის კურიკულუმები
17. საგნობრივი კურიკულუმები -მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
18. კომპლექსური დავალებები მუსიკაში, სახვით და გამოყენებითი ხელოვნებაში ,მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტით და შეფასებით
19. ესთეტიკის კათედრის ოქმი
20. ესთეტიკის კათედრის ანალიზი
21. მატერიალური რესურსებით ექსპულატაციისა და სარგებლობის წესი
22. შეფასების რუბრიკები -მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
23. მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი
24. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
25. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები
26. პროექტი „ოქროსფერი შემოდგომა“
27. არაფორმალური მიმართულებით ჩატარებული აქტივობების დამადასტურებელი ფოტო მასალა
28. სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული აქტივობები

29. ციფრული განვითარების გეგმა.
30. სკოლის მატერიალური რესურსებით ექსპლუატაციის და სარგებლობის წესი.
31. სკოლის ვებ. გვერდი
32. სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
33. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო
34. კომპიუტერული ტექნოლოგიების კომპლექსური დავალების ნიმუშები
35. კომპიუტერული ტექნოლოგიების შემაჯამებელი დავალების ნიმუშები
36. კომპიუტერული ტექნოლოგიების ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა ისტ/ინგლისური ენა
37. კომპიუტერული ტექნოლოგიების შეფასების რუბრიკები
38. სოციალური პროექტი - ხელოვნური ინტელექტი (სტუმრად ქუთაისის მაკდონალდში)

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან **სახელმწიფო ენის** მასალებში არ იყო წარმოდგენილი რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილი იყო კურიკულუმის შესაბამისად. *თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა გასწორებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები. 2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.*

2.

3. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი **ბუნებრივმეტყველების** (I-VI კლასი) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. გამომდინარე აქედან, შეუძლებელი იყო დადგენილიყო რამდენად იყო ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სიტემა. ასევე, **სახელმწიფო ენაში** წარმოდგენილი რუბრიკა არ ასაბუთებდა შეფასების ვალიდურობას. ვერიფიკაციის დოკუმენტში აღნიშნული არ საბუთდებოდა შეფასების სისტემის, განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ვალიდურობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები ბუნდოვანი, ზოგადი იყო. არ აფასებდა კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით მოსწავლის მიღწევებსა და გასაუმჯობესებელ მხარეებს, არ ასაბუთებდა შეფასების სისტემის სანდოობას, რადგან კონკრეტულ, მკაფიო კრიტერიუმებს არ ეყრდნობოდა, არ ასაბუთებდა შეფასების სისტემის ობიექტურობას, რადგან არ ჩანდა კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორ, რა მექანიზმით ფასდებოდა, რას ითვალისწინებდნენ განმავითარებელი უკუკავშირის დროს, არ ასაბუთებდა შეფასების სისტემის სამართლიანობას, რადგან მასწავლებლისთვის რთული იყო განესაზღვრა მოსწავლის კონკრეტული მიღწევები და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოსწავლისთვის ბუნდოვანი იყო რაში და როდის ფასდებოდა აღნიშნული რუბრიკით. *თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა გასწორებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები. 2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.*

4. **2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
2. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
3. შეფასების რუბრიკები
4. მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი
5. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შეფასების კრიტერიუმი.
6. საათობრივი ბადე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში.
7. მათემატიკის კურიკულუმები I-VI კლასი
8. მე-4 კლასში შესრულებული კომპლექსური დავალება და შესაბამისი განმავითარებელი შესფასების ნიმუში.

9. I და II კლასში, კურიკულუმის ბოლოს მოყვანილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1.

2. 2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. 2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან სკოლას არ ჰყავს *მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კვალიფიციური მასწავლებლები. ესთეტიკური აღზრდის* კათედრის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლას რამდენჯერმე ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია როგორც მუსიკის, ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პოზიციაზე, რაც დასტურდება მასწავლებელთა ვაკანსიის ვებ-გვერდზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული განცხადებებით. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა დაკორექტირებული შესაბამისობის გეგმა, სადაც გაჩერა, რომ 2024 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 სექტემბრამდე მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსიებზე კვალიფიციური კადრის ასაყვანად გამოაცხადებდა კონკურსს. სკოლას მიეცა *რეკომენდაცია*, შესაბამისობის გეგმაში გაჩერებულ ვადებში (2024 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 სექტემბრამდე) მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსიებზე კვალიფიციური კადრის ასაყვანად გამოაცხადოს კონკურსი, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები.. 2.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები მტკიცედ დაადასტურდა დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1.

2. 2.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. 2.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
3. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;



3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. 2.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. 2.3.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. 2.3.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
2. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
3. შეფასების რუბრიკები
4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
5. სკოლის თვითშეფასების განაცხადი

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*



2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1.
2.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

საბაზო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება



1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. 2.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
2. 2.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
3. 2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
4. 2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
5. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
6. მშობლის კითხვარები
7. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
8. მისია, ხედვა, ღირებულება
9. ფეისბუქ გვერდი
10. სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმა
11. სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგია
12. პედაგოგის სხდომის ოქმი
13. მშობელთა კითხვარი
14. სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
15. ინტერვიუ კათედრასთან

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

- 2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
- 3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
- 4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
- 5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან **მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნები არ წარმოადგენდა შემოქმედებით პროდუქტს**, რადგან კურიკულუმებში იყო მითითებული ძალიან მცირე რაოდენობით ამ ტიპის დავალებები. ასევე, **ბიოლოგიის VIII კლასის კურიკულუმში** თემა: „ჯანმრთელობა და მავნე ჩვევები“ დასამუშავებელი იყო ყველა სამიზნე ცნება (არ ჩანდა სამიზნე ცნებები: სასიცოცხლო თვისებები,სტრუქტურა და ფუნქცია), **ფიზიკის** მერვე კლასის კურიკულუმში თემაში: „სითბურ მოვლენები“ წარსამართი იყო ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობა. ასევე, **სახელმწიფო ენის** კურიკულუმები არ მოიცავდა ყველა აუცილებელ კომპონენტს. (წარმოდგენილი იყო მხოლოდ კურიკულუმის ჩარჩოები, არცერთ მათგანს არ ახლდა დანართი და შეფასების რუბრიკა). აუცილებელი კომპონენტები კურიკულუმებში არ იყო წარმოდგენილი. საქალაქო დონეზე მხოლოდ კურიკულუმის ჩარჩოები იდო, ზოგიერთ კლასში მხოლოდ - ნაწილობრივ შევსებული. *თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა გასწორებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები და სახელმწიფო ენის ექსპერტის მიერ გაიცა რჩევა, კურიკულუმის ჩარჩოებში, სასურველია საკითხთა სვეტში აღნიშნული ტექსტები გადაიტანოთ ძირითადი რესურსის/კონტექსტმაგალითების სვეტში.* **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან **მათემატიკის მე-7 კლასში** არ იყო შეტანილი მხოლოდ **1 დავალება** თემაში „განტოლება“, **მე-8 კლასში 1 დავალება** თემაში „მონაცემთა ანალიზი“, **მე-9 კლასში 1 დავალება** თემაში „სივრცული ფიგურები.“ ასევე, საბაზო საფეხურის **სახელმწიფო ენის** არცერთი კლასის კურიკულუმის ჩარჩოს არ ახლდა დანართი, სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში არ ჩანდა აქტივობების ეტაპები, არ იყო წარმოდგენილი რაიმე ფორმით აქტივობების ამსახველი მასალა. *თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა გასწორებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები.* **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში (2025 წლის 19 აპრილამდე) უზრუნველყოს დასავლური სტანდარტების შესაბამისად საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამართვა, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის განათლებას.

2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან სკოლის მიერ გადმოგზავნილ სახელმწიფო ენის მასალებში არ იყო წარმოდგენილი რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც მიუთითებდა ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებზე. თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა გასწორებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები. 2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან საბაზო საფეხურის სახელმწიფო ენის შეფასების სისტემა არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, არ აფასებდა მოსწავლეთა მიღწევებსა და გასაუმჯობესებელ მხარეებს სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებსა/ცნებებსა და შუალედურ მიზნებთან მიმართებით. ასევე, საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იყო ზოგადი, არ იძლეოდა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით მოსწავლის მიღწევის დონის და განვითარების დინამიკის დადგენის საშუალებას. კათედრის მიერ წარმოდგენილ არცერთ რუბრიკაში არ ჩანდა სტანდარტით განსაზღვრული რომელი მიზნის/მიზნების შეფასებას ემსახურებოდა. მაგალითად, წარმოდგენილ - გაკვეთილის შეფასების, წერიტი დავალების, პარაგრაფის შესაბამისი ძირითადი ცნებები და უნარების შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები არ იძლეოდა სტანდარტის შედეგების მიღწევის დონის განსაზღვრის საშუალებას. თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა გასწორებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები და საბუნებისმეტყველო ექსპერტის მიერ გაიცა რჩევა: სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნებში სასწავლო პროცესის შეფასებისას, წარმოდგენილ რუბრიკებთან (შუალედურ მიზანს აფასებს) ერთად, გამოყენებული იქნეს მოსწავლეთა თვითშეფასების, ურთიერთშეფასების, კვლევითი დავალების და სხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები.

2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
2. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
3. შეფასების რუბრიკები
4. მათემატიკის კურიკულუმები VII-IX კლასი
5. განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი რუბრიკა
6. საგნობრივი კურიკულუმები -მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

7. კომპლექსური დავალებები მუსკაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ,მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტით და შეფასებით
8. ესთეტიკის კათედრის ოქმი
9. ესთეტიკის კათედრის ანალიზი
10. მატერიალური რესურსებით ექსპულატაციისა და სარგებლობის წესი
11. შეფასების რუბრიკები -მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
12. მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი
13. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
14. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები
15. პროექტი “ოქროსფერი შემოდგომა“
16. არაფორმალური მიმართულებით ჩატარებული აქტივობების დამადასტურებელი ფოტო მასალა
17. სკოლის ფეისბუკ გვერდზე განთავსებული აქტივობები
18. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო (ისტორია)
19. კომპლექსური დავალება (ისტორია)
20. შემაჯამებელი დავალება (ისტორია)
21. შეფასების რუბრიკები (ისტორია)
22. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო (გეოგრაფია)
23. შემაჯამებელი დავალება (გეოგრაფია)
24. კომპლექსური დავალება (გეოგრაფია)
25. შეფასების რუბრიკები (გეოგრაფია)
26. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო (მოქალაქეობა)
27. შემაჯამებელი დავალება (მოქალაქეობა)
28. კომპლექსური დავალება (მოქალაქეობა)
29. შეფასების რუბრიკები (მოქალაქეობა)
30. კათედრის ოქმი
31. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შეფასების კრიტერიუმი
32. საათობრივი ბადე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან სკოლის მიერ გადმოგზავნილ სახელმწიფო ენის მასალებში არ იყო წარმოდგენილი რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილი იყო კურიკულუმის შესაბამისად. თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოგზავნა გასწორებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები. **2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2.
3. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი რუბრიკები არ ასაბუთებდა შეფასების ვალიდურობას. ვერიფიკაციის დოკუმენტში აღნიშნული არ საბუთებოდა შეფასების სისტემის, განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ვალიდურობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები ბუნდოვანი, ზოგადი იყო, არ აფასებდა კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით მოსწავლის მიღწევებსა და გასაუმჯობესებელ მხარეებს, არ ასაბუთებდა შეფასების სისტემის სანდოობას, რადგან კონკრეტულ, მკაფიო კრიტერიუმებს არ ეყრდნობოდა, არ ასაბუთებდა შეფასების სისტემის ობიექტურობას, რადგან არ ჩანდა კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც, რა მექანიზმით ფასდებოდა, რას ითვალისწინებდნენ განმავითარებელი უკუკავშირისა და განმსაზღვრელი შეფასების დროს, არ ასაბუთებდა შეფასების სისტემის სამართლიანობას, რადგან მასწავლებლისთვის

როული იყო განესაზღვრა მოსწავლის კონკრეტული მიღწევები და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოსწავლისთვის ბუნდოვანია იყო, რაში და როდის ფასდებოდა აღნიშნული რუბრიკით. ასევე, სკოლის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი **საბუნებისმეტყველო** საგნების შეფასების ინსტრუმენტები არა იყო ვალიდური. შეფასების მიზანს არ შეესაბამებოდა შეფასების კრიტერიუმები. მაგალითად, მეშვიდე კლასის ბიოლოგიის შემაჯამებელ დავალებაში მითითებული ესგ-ს მისაღწევი შედეგი არ შეესაბამებოდა ბიოლოგიის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. ხოლო, შეფასების კრიტერიუმები არ იძლეოდა მოცემული დავალების და სტანდარტის შედეგების შეფასების საშუალებას. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმების ფორმულირება და მინიჭებული ქულები არ იძლეოდა საშუალებას ერთნაირად შეფასებულიყო ყველა მოსწავლე. მაგალითად, ქიმიაში წარმოდგენილ შეფასების რუბრიკაში ორი კრიტერიუმი (რამდენად აქტიურად იყო ჩართული სასწავლო პროცესში მასალის მართებულად და სწორად გაგება) ფასდებოდა ექვი ქულით. ბუნდოვანი იყო რომელი კრიტერიუმი რამდენი ქულით ფასდებოდა. შეფასების სიტემის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებდა ის ფაქტი, რომ შეფასების რუბრიკები არ იძლეოდა სტანდარტის შედეგების მიღწევის დონის განსაზღვრის საშუალებას. გაწერილი კრიტერიუმები და მინიჭებული ქულები არ იძლეოდა ყველა მოსწავლის ერთნაირად შეფასების საშუალებას. მაგალითად, მოსწავლის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალება ფიზიკაში, სადაც ჩანდა, რომ ნამუშევარი ფასდებოდა ათი ქულით. შეფასების სისტემა იყო სამართლიანი, რადგან კათედრის მიერ წარმოდგენილი რუბრიკების გამოყენებისას სხვადასხვა შემფასებელი ვერ მივიდოდა ერთნაირ შეფასებამდე. მაგალითად, წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების შეფასების კრიტერიუმები (მოსწავლეს დავალებაში უწევდა სიმკვრივის განსაზღვრა, ხოლო ამ დავალების შეფასების რუბრიკა აფასებდა დამოუკიდებლად და ორგანიზებულად მუშაობას) არ იძლეოდა დავალების შეფასების საშუალებას. *თუმცა, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა გასწორებული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები და საბუნებისმეტყველო ექსპერტის მიერ გაიცა რჩევები: საბუნებისმეტყველო საგნებში კონკრეტული თემისთვის შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში გაწერილი მოლოდინები სასურველია, ამ კონკრეტულ თემას ეხებოდეს (მაგ: ბიოლოგიის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შექმნილია თემისთვის მარეგულირებელი სისტემა, მაგრამ სამიზნე ცნება სასიოცხლო თვისებებში გაწერილია სხვა თემებთან დაკავშირებული მოლოდინები). საბუნებისმეტყველო საგნებში შემაჯამებელი დავალების რუბრიკა სასურველია, იძლეოდეს მოცემული დავალებების შეფასების საშუალებას(მაგ: ქიმიის შემაჯამებელ დავალებაში მოცემული ამოცანის ამოხსნის შეაფასება არ ჩანს რუბრიკაში). სასურველია, მოსწავლის შეფასება მოხდეს გაწერლი რუბრიკის შესაბამისად.*

4. 2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
2. კომპლექსური დავალება (ისტორია)
3. შეფასების რუბრიკები (ისტორია)
4. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო (გეოგრაფია)
5. შემაჯამებელი დავალება (გეოგრაფია)
6. კომპლექსური დავალება (გეოგრაფია)
7. შეფასების რუბრიკები (გეოგრაფია)
8. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო (მოქალაქეობა)
9. შემაჯამებელი დავალება (მოქალაქეობა)
10. კომპლექსური დავალება (მოქალაქეობა)
11. შეფასების რუბრიკები (მოქალაქეობა)
12. კათედრის ოქმი
13. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შეფასების კრიტერიუმი
14. საათობრივი ბადე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4.სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1.

2. 2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. 2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. თავდაპირველად ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან სკოლას არ ჰყავს **მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** კვალიფიციური მასწავლებლები. **ესთეტიკური აღზრდის** კათედრის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლას რამდენჯერმე ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია როგორც მუსიკის, ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პოზიციაზე, რაც დასტურდება მასწავლებელთა ვაკანსიის ვებ-გვერდზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული განცხადებებით. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა დაკორექტირებული შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერა, რომ 2024 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 სექტემბრამდე მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსიებზე კვალიფიციური კადრის ასაყვანად გამოაცხადებდა კონკურსს. სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**, შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (2024 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 სექტემბრამდე) მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსიებზე კვალიფიციური კადრის ასაყვანად გამოაცხადოს კონკურსი, რის შემდეგაც დაკმაყოფილდა ინდიკატორის მოთხოვნები.. **2.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები** მეტწილად დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საბაზო საფეხურის კურიკულუმი

2.შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

